

**შპს ემ ემ ემ პეტროლიუმის
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება**

შპს "ემ ემ ემ პეტროლიუმი"

ერთეული: 1GEL

	საანგარიშგებო თარიღი	
	31.12.2023	31.12.2022
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტი	1502942	1702038
სავაჭრო მოთხოვნები	2782853	12584
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	271910	208177
მარაგები	401492	3741011
მ.შ.-მზა პროდუქცია	401492	3741011
სხვა მარაგი		
მოკლევადიანი ინვესტიციები	418785	101648
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
მ.შ -თვითღირებულების მოდელით		
სხვა არამატერიალური ქატივები		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური ქატივები	1025	
ძირითადი საშუალებები		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
	5379007	5765458
სულ აქტივები		
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის(ლიზინგის) ვალდებულება	3169670	4098309
სავაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომლთა მიმართ.		
საგადასახადო ვალდებულებები		
გამომუშავებული შემოსავალი და მიღებული ავანსები		2128805
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1083831	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	5273598	6227114
სულ ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი(სააქციო კაპიტალი,საპაიო კაპიტალი)	860898	860898
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-755489	-1322554
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
	105409	-461656
სულ საკუთარი კაპიტალი	5379007	5765458
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		

შპს ემ ემ ემ პეტროლიუმი
საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო თარიღი	
	2023	2022
ნეტო ამონაგები	29579211	23522189
მშ- საქონლის გაყიდვიდან	29579211	23522189
მომსახურების გაწევიდან		
სხვა ამონაგები		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-29075799	-24892937
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯი		
საბოლოო მარაგი		
საერთო მოგება	503412	-1370748
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-83210	-29966
ცვეთა და ამორტიზაცია		0
საპროცენტო შემოსავალი	192889	
საპროცენტო ხარჯი	-8048	-70162
იჯარის ხარჯი	-287545	-136657
ადმინისტრაციული სა სხვა საოპერაციო ხარჯი	-89356	-223116
სულ საოპერაციო ხარჯები	-275270	-459901
საოპერაციო მოგება	228142	-1830649
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		
მ.შ-ფინანსური აქტივების		
_ მარაგების		
_ სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	338923	508095
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	567065	-1322554
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	567065	-1322554
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი(მ.შ.ბიოლ. აქტივების)		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	567065	-1322554
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		
კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	-461656	
ახალი აქციების გამოშვება(შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		860898

განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)		0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	105409	-461656
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ემ ემ ემ პეტროლიუმი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2022 წლის 28 აპრილს. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 405529307, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.83 სართ.11 ბლოკი V კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სანდრო რაზმაძე (პ/ნ 01026015610)

1.3. კომპანიის დირექტორია : სანდრო რაზმაძე (პ/ნ 01026015610)

1.4. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საწვავის იმპორტი და რეალიზაცია.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2023 წელს შეადგენდა 6 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია (1 იანვრიდან- 31 დეკემბრის ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები

გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,6894 ლარი;

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ნაღდი ფული საღაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშზე	1500813	131495
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშზე	2129	1570543
ევრო საბანკო ანგარიშზე	0	0
სულ	1502942	1702038

3.3. სავაჭრო მოთხოვნები

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები მომწოდებლებთან	2782853	12584
სულ	2782853	12584

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლებთან	1020097	4098309
სულ	1020097	4098309

3.5. მიმდინარე და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ბანკიდან მოკლევადიანი სესხი		

ფიზიკური პირისგან მიღებული სესხები	3169670	2128005
სულ	3169670	2128805

3.6. ძირითადი საშუალებები

	ნაშთი 31.12.2023	2023 წ. ზრდა ან შემცირება	2023 წ. დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022
შენობა ნაგებობები				
მანქანა დანადგარები				
ოფისის აღჭურვილობა				
სატრანსპორტო საშუალებები				
სხვა ძირითადი საშუალებები				

3.7. საანგარიშგებო პერიოდის მოვლენები:

2023 წელს კომპანიამ საწვავის იმპორტი განაცხორიელა და ახდენდა მის საბუთუმო რეალიზაციას ნავთობბაზიდან. რომელიც აღებული აქვს იჯარით და მდებარეობს გარდაბანში ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე . ქობულეთში თავისუფლების ქ. 23ა. და გარდაბნის რაიონ სოფ გაჩიანში

3.8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ .

დირექტორი:



სანდრო რაზმაძე